

Societas Europaea როგორც ტრანსსასაზღვრო

სამეწარმეო საზოგადოების ფორმა

დიტო ხვიჩია

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამართლის ფაკულტეტი, სამაგისტრო პროგრამა კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015 წელი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა ----- დიტო ხვიჩია თარიღი 03.07.2015

სარჩევი

აბსტრაქტი.....	5
Abstract.....	6
თავი 1. შესავალი.....	7
თავი 2. ძირითადი ნაწილი	10
2.1 წარმოშობის ისტორია, განვითარება და ძალაში შესვლა.....	10
2.1.1 პირველი ნაბიჯები	10
2.1.2 სანდერსის პროექტი და ნილუზიურ თეორიამდე.....	11
2.1.3 კანონის ძალაში შესვლა.....	13
2.1.4 საბჭოს მოლოდინი და SE-ს თეორიული უპირატესობები.....	14
2.2 Societas Europaea და ფუნქციების ხერხები, კლასიფიკაცია, სტრუქტურა.....	16
2.2.1 Societas Europaea - 4 ძირითადი ტიპი.....	16
2.2.2 SE -ს არასტანდარტული ტიპები	22
2.2.3 SE -ს სტრუქტურა	24
2.2.4 კორპორაციული მართვის წესების ხვადასხვა სისტემებისთვის.....	25
2.3 მოქმედი კანონმდებლობა და იერარქია.....	27
2.3.1. მოქმედი კანონმდებლობის იერარქია.....	28
2.4 დაფუძნების თავისუფლება.....	30
2.4.1 დაფუძნების თავისუფლების არსი.....	30
2.4.2 კავშირი Societas Europaea-სა და დაფუძნების თავისუფლებას შორის.....	31
2.5 დასაქმებულთა ნაშრომელთა ჩართულობა SE-ში	33
2.5.1 ევროპის სოციალური დიალოგი და ნდირექტივის შექმნამდე	33
2.5.2 დირექტივის შინაარსი და ძირითადი საკითხები.....	35
2.6 SE-ს შექმნის დადებითი და უარყოფითი ასპექტები.....	37
2.6.1 დადებითი მხარეები.....	38
2.6.1.1 ევროპული იმიჯი	Error! Bookmark not defined.
2.6.1.2 რეგისტრირებული ოფისის გადატანის შესაძლებლობა	39
2.6.1.3 ტრანსსაზღვრო მერწყმის გამარტივება.....	39
2.6.1.4 გამარტივებული მენეჯმენტის სტრუქტურა	39

2.6.2 უარყოფითი მხარეები	40
2.6.2.1 ხარჯები, სირთულე და არასტაბილურობა.	40
2.6.2.2 დასაქმებულთა ჩართულობა	41
2.6.2.3 სამართლებრივი ბუნების შეუთავსებლობის იდეასთან.	42
2.7 საგადასახადო დაბეგვრა SE-ში	43
2.7.1 დივიდენდების დაბეგვრა	44
2.7.2 მოგების დაბეგვრა (<i>Capital Gain Taxation</i>).....	45
თავი 3. დასკვნა	46
გამოყენებული ლიტერატურა.....	49

აბსტრაქტი

თანამედროვე ბაზრის განვითარება ბევრ ახალ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოშობს. ევროპული სამართლის უნიფიკაციამ განაპირობა კერძო სამართლის ახალი მეწარმე სუბიექტის, Societas europaea-ს შექმნა. საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოების პროცესი აქტიურ ფაზაში გადადის და ჩემი აზრით მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად გავეცნოთ ევროკავშირის სამართლის თავისებურებებს. აუცილებელია ყურადღების გამახვილება ისეთ რეგულაციებსა და საკანონმდებლო კომპილაციებზე, რომლებიც ადრე თუ გვიან შეიძლება ქართულ რეალობაში გაჩნდნენ. ნაშრომში აღწერილი მოდელი ქართული იურიდიული მეცნიერებებისათვის უცხო სამართლებრივი ინსტიტუტია და სწორედ ამიტომ ორმაგად საინტერესოა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა. ამ თემის შესწავლა საინტერესო უნდა იყოს როგორც პრაქტიკოსი, ასევე თეორეტიკოსი იურისტებისათვის და პირებისათვის, რომლებიც ევროკავშირის სამართლით არიან დაინტერესებულნი .

ძირითადი საძიებო სიტყვები: საბჭოს რეგულაცია, თანამშრომელთა ჩართულობა, ზენაციონალური კანონმდებლობა, Societas Europaea.

Abstract

Development of modern market creates a number of legislative institutes. Unification of European Law provided a new type of entrepreneurship in private law – Societas Europaea. At the process of integration between Georgia and European Union morphs into an active phase, it is important for us to be more aware of European legislation. It is essential to focus more on regulations and legislative compilations that might occur in Georgian reality. What makes it more interesting to work on this topic is that the model described in Thesis is different from the one used in Georgian legal science. It should be interesting to do research on this topic both for theorist and practicing lawyers and individuals interested in legislation of European Union.

Key words: Council Regulation, Employee Involvement, Supranational law, Societas Europaea.